

48.



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№434 2015 წლის 9 მარტი ქ. თბილისი

მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს, აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2-ის ფარგლებში, მესტიის წყლისა და კანალიზაციის ქსელების პროექტის მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული გეგმით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება განახორციელოს „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №526 განკარგულებით გამოყოფილ თანხებში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი

Handwritten signature

ირაკლი ღარიბაშვილი

